შეთანხმება №32-114-M-01.

ქ.თბილისი 28 სექტემბერი, 2018წ.

ერთის მხრივ შპს „ტელეკომპანია პირველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა კაკაურიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხიდურელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანმხდებით შემდეგზე:

1. სსიპ „აწარმოე საქართველოსა“ და შპს „ტელეკომპანია პირველს“ შორის 2018 წლის 21 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება უნდა განხორციელდეს შეწონილი რეიტინგების შესაბამისად, ხოლო ხელშეკრულების ამავე ხელშეკრულების თანახმად, „მედია გეგმის“(გრაფიკი) მიხედვით საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილ (მოსალოდნელ) სატელევიზიო რეიტინგის (wGRP) და აღნიშნული მედია გეგმის (გრაფიკის) შედეგად ამავე საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული სატელევიზიო რეიტინგს (wGRP) შორის სხვაობის შემთხვევაში, ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი წესით: ა) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგის (დაკორექტირებული) ღირებულების შესაბამისად; ბ) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგი (დაკორექტირებული wGRP) აღემატება ამავე პერიოდისათვის დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეიტინგის (wGRP) 110%-ს, ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ 110%ის ოდენობის რეიტინგის ღირებულების შესაბამისად. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების საფუძველზე, ირკვევა, რომ ვიდეო რგოლის შეწონილმა რეიტინგმა შეადგინა 110%-ზე ნაკლები, რის გამოც ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგის (დაკორექტირებული) ღირებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილე მხარეები- შემსყიდველი და მიმწოდებელი ვთანხმდებით:
   1.1. შეტანილ იქნეს ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში და საორიენტაციო ღირებულება განისაზღვროს 3704,40 (სამი ათას შვიდას ოთხი ლარი და 40 თეთრი) ლარის ოდენობით.
2. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელმოწერის დღიდან.
3. შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ „აწარმოე საქართველოში“

დირექტორი

მიხეილ ხიდურელი_____

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „ტელეკომპანია პირველი“

დირექტორი

პაატა კაკაურიძე _____

(ხელმოწერა)